

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ოქმი N2

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

23.01.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები. გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-
ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის
მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის
უფროსი- ზვიად კაპანაძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე
გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს. ზვიად კაპანაძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -19

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა: ვანის ეროვნულ მუზეუმში უკვე დასასრულს უახლოვდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჯამად ესაჭიროებათ 36 კვმ მიწის ნაკვეთი წყლის რეზერვუარისთვის, რომლის გადაცემაზეც გვჭირდება საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე”

(განკარგულება N 27 1)

საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის თავმჯდომარე

